საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 303 2025 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არაუმეტეს 40 312 000 (ორმოცი მილიონ სამას თორმეტი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 855 000 (ორი მილიონ რვაას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 120 000 (ერთი მილიონ ას ოცი ათასი) ლარისა;

გ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 790 000 (შვიდას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ე) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ვ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 439 000 (ერთი მილიონ ოთხას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარისა;

ზ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 834 000 (რვაას ოცდათოთხმეტი ათასი) ლარისა;

თ) ახმეტის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 195 000 (ორი მილიონ ას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ი) სენაკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

კ) ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 800 000 (რვაასი ათასი) ლარისა;

ლ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 700 000 (ერთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარისა;

მ) გორის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 222 000 (ორას ოცდაორი ათასი) ლარისა;

ნ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ო) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 157 000 (ას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარისა;

პ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 070 000 (ერთი მილიონ სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ჟ) კასპის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 813 000 (რვაას ცამეტი ათასი) ლარისა;

რ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარისა;

ს) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 400 000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ტ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 139 000 (ას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარისა;

უ) მარნეულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 640 000 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცი ათასი) ლარისა;

ფ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 749 000 (შვიდას ორმოცდაცხრა ათასი) ლარისა;

ქ) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ღ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 575 000 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ყ) ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 424 000 (ორი მილიონ ოთხას ოცდაოთხი ათასი) ლარისა;

შ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ჩ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ც) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**